

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

სათათბიროს სხდომის

ო კ მ ი № 3

03.02.2016

სათათბიროს 12 წევრიდან ესწრებოდა 9 და 3 წევრობის კანდიდატი.

დღის წესრიგი :

1. სათათბიროს შემადგენლობის შესახებ (ნ. წერეთელი);
2. ფაკულტეტზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესახებ (გ. მჭედლიშვილი).

მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: პროფ. ნ. წერეთელი. მან აღნიშნა, რომ სტუ-ის აკადემიური საბჭოსა და სენატის არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, სათათბიროს უფლებამოსილება უნდა შეუწყდეთ პროფესორებს: ლ. გვასალიას, ზ. კოვზირიძეს, ზ. ლომსაძეს მ. ხუციშვილს და სტუდენტური თვითმმართველობიდან ა. ტატანაშვილს. ამასთან, საჭიროა სათათბირომ სტუ-ის წესდებისა და ფაკულტეტის დებულებიდან გამომდინარე, უფლებამოსილება ცნოს სტუ-ის აკადემიურ საბჭოსა და სენატში ახლად არჩეული წევრების, კერძოდ პროფესორების: რ. კლდიაშვილის, მ. მაცაბერიძის, გ. ლოლაძის, ნ.კუციავასი და დ. ნოზაძის. თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა სათათბიროს ყოფილ წევრებს ნაყოფიერი მუშაობისთვის და წარმატებები უსურვა ახალ წევრებს.

დაადგინეს: 1. შეუწყდეთ სათათბიროს უფლებამოსილება პროფესორებს: ლ. გვასალიას, ზ. კოვზირიძეს, ზ. ლომსაძეს, მ. ხუციშვილს და სტუდენტური თვითმმართველობიდან ა. ტატანაშვილს.

2. სათათბირომ ცნოს პროფესორების: რ. კლდიაშვილის, მ. მაცაბერიძის, გ. ლოლაძის, ნ.კუციავასი და დ. ნოზაძის უფლებამოსილება.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს: მენეჯერი გ. მჭედლიშვილი. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე, სტუ-ის სამეურნეო სამსახურის მიერ, მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც უახლოეს პერიოდში წარუდგენს სათათბიროს.

აზრი გამოთქვას პროფ. ნ. წერეთელი. თავმჯდომარემ მოითხოვა, მეტი გამჭვირვალობისთვის, მენეჯერმა წერილობით წარმოადგინოს ფაკულტეტზე არსებული სარემონტო სამუშაოების ნუსხა, რათა შეთანხმებით განხორციელდეს სათათბიროს მიერ პრიორიტეტად მიჩნეულ სარემონტო ობიექტებზე ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივი ხარჯვა.

დაადგინეს: მენეჯერმა უახლოეს მომავალში წარმოადგინოს ფაკულტეტზე არსებული სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, რათა სათათბიროსთან

შეთანხმებით განხორციელდეს პრიორიტეტულად მიჩნეული სარემონტო სამუშაოების განხორციელება.
დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: პროფ. მ. მაცაბერიძე. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტს სჭირდება თანამედროვე სასწავლო ბაზა და ლიტერატურა, რაც უნდა იქნას მოპოვებული. უნდა გაკეთდეს დაპროექტების სამუშაოები, საჭიროა ამ მიმართულებით სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რათა განვსაზღვროთ ძირითადი პრიორიტეტები, თუ არ დავიწყეთ ახლავე, მერე იქნება გვიანი.

სათათბიროს თავმჯდომარე, პროფ.

ნ. წერეთელი

მდივანი, პროფ.

მ. მშვილდაძე